ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 38

სხდომის ჩატარების დრო:
26 ივლისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თეა ჯუღელი**
იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:
დიმიტრი მხეიძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე, გია ბასილაძე.
სულ: 6 წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ხათუნა არველაძე, თედო მესხი, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე **ქალბატონი მაგდა კოსტავა**.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ხათუნა არველაძე, თედო მესხი, ლაშა შალამბერიძე, კახაბერ გაბუნია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მაგდა კოსტავამ.**

(განკარგულების პროექტი თან ერთვის)

მაგდა კოსტავამ განმარტა: - „აღნიშნული ცვლილებით იზრდება გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა შემადგენლობა, ასევე განისაზღვრება თავმჯდომარის არჩევის წესი, რაც ემსახურება გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლობის გაზრდას და ასევე ქალაქ ქუთაისში მაცხოვრებელ უფრო მეტ ადამიანს, სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წევრს ექნება შესაძლებლობა ჩაერთოს საბჭოს საქმიანობაში. მაგალითად, საბჭოს ემატებიან ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც ახალი იდეებით შეუერთდებიან საბჭოს.“

საკითხთან დაკვაშირებით აზრი არ გამოთქმულა, დებატები არ წარმართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: რომან ქვაჩაკიძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, ხათუნა არველაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი